წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ პირობიან/უპირობო ელექტრონულ აუქციონზე გატანილ ლოტებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია აუქციონის მიერ, შესაბამის ელექტრონულ ველში სრულყოფილად იქნეს დეკლარირებული გასასხვისებელი ნივთის აღწერილობითათვისობრივი მახასიათებლები, რაც სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულის - მყიდველის მხრიდან გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორებზე აპელირებით პრეტენზის წარდგენისა და სასარჩელო წესით საქმის წარმოების სამართლებრივ საფუძვლებს, ამასთან მინიმუმადე დაიყვანს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესში ფინანსური ზიანის დადგომის რისკებს, (ლოტზე გამოვლენილი ნაკლის გამოსწორების ხარჯი; შესაძლო სასამართლო ხარჯები და სხვა), მეორემხრივ ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების ეფექტურად განვარგვის, არსებულზე მეტად დახვეწილი პრაქტიკის დამკვიდრებას.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის შეკითხვა, რომელიც ეხებოდა წყალტუბის მუნიციპალიტეტის შალაშესზე რიცხული ქონების აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით

გადაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, მოიჯარის მიმართ, იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტესლოსაგან გათვისუფლების შესახებ მიზანშეწონილობის განსზღრის მოთხოვნას, რაზეც გაიცა შემდეგი რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია ქონების მოიჯარე ფიზიკური პირის სამეწარშეო საქმიანობის დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, მოიჯარესთან მიმართებით, კომპეტენციის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების აღსრულების უზრუნველყოფის გზით მოახდინოს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების შეუფერხებლად მიღების ნაწილში, შედეგის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სამართლებრივი ქმედებები.

2020 წელს განხორციელდა 1 (ერთი) ინსპექტირება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის წერილის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა თანამშრომლის მიერ შედგენილ დოკუმენტში დაშვებული უზუსტობის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულ ვადის დარღვევას. ინსპექტირების შედეგებზე დაყრდნობით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის ფაქტზე განხორციელებული იქნა დისციპლინური წარმოება. ბრალეული საჯარო მოხელის მიმართ გაიცა რეკომენდაცია დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.

2021 წელში სამსახურის მიერ მომზადები თრი შიდა აუდიტორული ანგარიში:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისა და ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების” შემოწმების შიდა აუდიტორული ანგარიშები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის ხარვეზები (მიგნებეი):

- ✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამეცნიერო დახმარების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაცემული საგარანტიო წერილები შინაარსობრივად არ მეტაბამება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N5 დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს.
- ✓ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების საგარანტიო წერილი N 31/919 გაცა ბენეფიციარზე, რომელსაც წარმოდგენილია არ ჰქონდა შესაბამისი დახმარების გაცემის წესის მიხედვით, საგარანტიო წერილის მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტი.
- ✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა. ცალკეულ ბენეფიციარებზე აღნიშნული დახმარება გაცემულია უფრო ნაკლები ოდენობით, ვიდრე სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესი ითვალისწინებდა.
- ✓ სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის მიხედვით, ბენეფიციარის მიერ განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადების დაწერაზე უფლებამოსილია ბენეფიციარის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, შვილიშვილი და მის მიერ მინდობილი პირი. თუმცა გაცემის წესში განსაზღვრული არ არის თუ რა დოკუმენტებით უნდა დაადასტუროს პირმა განცხადების დაწერაზე უფლებამოსილება.
- ✓ სამსახურის მომზადებულ დასკვნებში ხშირად გვხვდება ტექნიკური ხასიათის ხარვეზები,

გამოვლენილი ხარვეზების (მიგნებების) აღმოსაფხვრელად გაცემული  
რეკომენდაციები:

1. უზრუნველყოფილი იქნას სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის პირობებისა და ბენეფიციარებზე გაცემული საგარანტიო წერილების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა მუნიციპალური და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.
2. კონტროლის მექანიზმების გაძლიერების სამუშალებით, ბენეფიციარებზე სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების საგარანტიო წერილების გაცემა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
3. ბენეფიციარებზე სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების თანხის გაცემა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით და მათდამი თანაბარზომიერი მოპყრობის პრინციპის დაცვით.
4. სოციალური დახმარების გაცემის წესის პირობები განსაზღვრულ იქნას დასაბუთებული საჭიროებიდან გამომდინარე და აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება მოითხოვებოდეს დოკუმენტაციურად. არამნიშვნელოვანი მოთხოვნები კი, სოციალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, სოციალური სერვისების მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, არ იქნეს გამოყენებული.
5. კონტროლის მექანიზმების გაძლიერებით, უზრუნველყოფილი იქნას სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნებსა და თანდართულ მასალებს შორის შეუსაბამობის პრევენცია.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის ხარვეზები (მიღწებები):

- ✓ ა(ა)იპ „დასუფთავებისა“ და „ცენტრის“ 2019 წლის შესყიდვების წლიური გეგმები, აგრეთვე ა(ა)იპ „დასუფთავების“ 2020 წლის შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებული არ არის სათანადო წესით.
- ✓ რიგ შემთხვევებში შესყიდვები განხორციელებულია შესყიდვების წლიურ გეგმაში (ePLAN მოდულში) წინასწარი რეგისტრაციის გარეშე.
- ✓ შესამოწმებელ პერიოდში ა(ა)იპ „დასუფთავება“ არ ახორციელებდა ბაზრის კვლევის პროცესის სათანადო დოკუმენტირებას.
- ✓ NAT200007719 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განხორციელდა სათანადო დასაბუთების გარეშე.
- ✓ რიგ შემთხვევებში პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, აღნიშნული შეუსაბამობების მიუხედავად, სატენდერო კომისია არ მიმართავდა მათ შესაბამისი დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, შედეგად, აღნიშნულ ტენდერებში გამარჯვებულად გამოვლინდნენ პრეტენდენტები, რომელთა წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.
- ✓ NAT200007906 ელექტრონული ტენდერი შეწყვეტილია სათანადო დასაბუთების გარეშე.
- ✓ რიგში შემთხვევებში ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულებები დადებული არ არის სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის და სატენდერო პირობების შესაბამისად.
- ✓ NAT200007554 ელექტრონული ტენდერში გათვალისწინებული არ არის ფასწარმოქმნის ადევატურობის დასაბუთების ვალდებულება. რაც დასაბუთებული არაა სატენდერო დოკუმენტაციაში.
- ✓ რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების პირობებში არაა განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა და ერთეულის ფასი.
- ✓ ზოგ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ არის საჯარისმო სანქციები შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისათვის.
- ✓ რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების მოქმედების ვადები მინიმუმ 30 დღით არ აღემატება შესაბამისი შესყიდვის ობიექტების მიწოდების ვადებს.

- ✓ რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ატვირთულია სისტემაში, მაგრამ ხელშეკრულებებს მიწიჭებული არ აქვთ შესაბამისი სტატუსი.
- ✓ რიგ შემთხვევებში შესყიდვების განსორციელებისას მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ის, აგრეთვე შესაბამისი ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებული ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში ატვირთული არ არის.
- ✓ რიგ შემთხვევებში ელექტრონული ტენდერების სხდომის ოქმებში მითითებულია, რომ შესაბამისი სხდომის ოქმების სისტემაში ატვირთვა დაევალა სატენდერო კომისიის აპარატს. ფაქტობრივად აღნიშნული ოქმები სისტემაში განთავსებულია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.
- ✓ რიგ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში კლასიფიკატორის (CPV კოდი) კოდი არასწორადაა განსაზღვრული.
- ✓ აუდიტის ობიექტის გამარტივებული შესყიდვის ფორმით გააფორმა ხელშეკრულება (CMR190068110), რომელიც ითვალისწინებდა დეკორატიული კიპაროსების გაკრეჭვით სამუშაოებს და ამ მიზნით დაქირავებულ ფიზიკურ პირს გადაუხადა 4000 ლარი. აუდიტის ობიექტის ვერ დაასაბუთა, თუ რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული ასეთი სახის ხელშეკრულების გაფორმება. ვინაიდან მას ამ პერიოდში ვაჩინდა საკმარისი შრომითი რესურსი (მქანე-დუკორატორი, მეტალურგიუმი, მუჟავა) ასეთი საქმიანობის შესრულებისათვის.
- ✓ „გაერთიანებას“-ს არ აქვს დადგენილი თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ან/და ერთი მუშა-საათის განმავლობაში სპეც-ტექნიკა და ავტომანქანები შემდეგი სახელმწიფო ნომრებით: GML-180; RJR-414; NN249KK; NN289KK; NN219KK; AA652D; AA890QA; BB734Q; MJ549JM; DQ498QD; ZZ941BB; BB287Q; BB755Q; BB734Q; სპეციალიზებული სათიბი ნავი იანა.
- ✓ სატრანსპორტო საშუალებებზე სახელმწიფო ნომრით GML-180; RJR-414; NN249KK; აუდიტის ობიექტი არ აწარმოებდა ავტოსატრანსპორტო საგზაო ბარათებს, არ ხორციელდებოდა განვლილი მანძილის (ოდომეტრის მაჩვენებლების) აღრიცხვა და საწვავის ჩამოწერა გარბენილი კილომეტრაჟის ან/და ნამუშევარი საათების მიხედვით.
- ✓ აუდიტის ობიექტი სპეცტექნიკაზე შემდეგი სახელმწიფო ნომრებით KV814VK; GGT245; JO931OJ; SS603SW; XQ882QX; XQ881QX; KV812VK; KV814VK აწარმოებდა ავტოსატრანსპორტო საგზაო ბარათებს, მაგრამ მაგრამ აღნიშნული ბარათები არ არის სრულად შევსებული, კერძოდ: ბარათებს არ აქვთ ნუმერაცია; ნაგავსაყრელზე შეტანილ მ/კუბზე და გაკეთებული რეისის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები.
- ✓ სპეცტექნიკის შემდეგი სახელმწიფო ნომრებით KV814VK; GGT245; JO931OJ; SS603SW; XQ882QX; XQ881QX; KV812VK ავტოსატრანსპორტო საგზაო ბარათების შესწავლით

დგინდება, რომ აუდიტის ობიექტი 2020 წლის ივლისის თვემდე არ აწარმოებდა საწვავის ნაშთების აღრიცხვას.

- ✓ რიგ შემთხვევებში ბენზინგასამართი სადფურებილან აუდიტის ობიექტის სპეციექნიკაზე პირდაპირი გადაცემით (ჩასხმით) გაცემული საწვავის რაოდენობა არასწორადაა ასახული აუდიტის ობიექტის მიერ საწვავის ხარჯვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში.
- ✓ რიგ შემთხვევებში აუდიტის ობიექტის მიერ საწვავის ხარჯვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში არასწორადაა ასახული ოდომეტრის მაჩვენებლები და საწვავის ნაშთები.
- ✓ რიგ შემთხვევებში აუდიტის ობიექტის მიერ გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები არასრულადაა შედგენილი, კერძოდ: ვერ დგინდება თუ სად და კონკრეტულად რა სამუშაოებისთვის გაიხარჯა საწვავი.
- ✓ რიგ შემთხვევებში შედგენილი არ არის სატრანსპორტო საექივინუმო ბარათები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე შეტანის ფაქტები დოკუმენტურად არ დასტურდება.
- ✓ აუდიტის ობიექტს დადგენილი აქვს შემდეგი ნაგავმზიდი სპეციექნიკების (სახელმწიფო ნომრით J09310J; KV814VK; XQ882QX; XQ881QX) გადაადგილების მარშრუტები და განსაზღვრული აქვს თითოეული მარშრუტის სიგრძე (კმ). საწვავის ხარჯვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში კონკრეტული დღეების მიხედვით თითოეული სპეციექნიკისთვის აუდიტის ობიექტი ასახავს გადაადგილების მარშრუტს, რეისების რაოდენობასა და განვლილ მანძილს. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს შემდეგი ხასიათის შეუსაბამოებს, კერძოდ, სპეციექნიკის მიერ განვლილი მანძილი აღემატება იმ მარშრუტის დადგენილ მაქსიმალურ სიგრძეს, რომელიც ამ უკანასკნელმა გაიარა შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით.
- ✓ „გაერთიანება“-ს სპეციექნიკაზე შემდეგი სახელმწიფო ნორმებით GGT245 და SS603SW კონკრეტული მარშრუტები დადგენილი არა აქვს.
- ✓ შესამოწმებელ პერიოდში არ ხორციელდებოდა HANWO თვლიანი ტრაქტორის (სახ.NBB734Q); ZHONGYUAN თვლიანი ტრაქტორის (სახ.NBB287Q); სპეციალიზებული სათიბი ნავის OAO; ტრაქტორი კულტივატორის, აგრეთვე ბალანის საჭრელებისა და სათიბელების მიერ ნამუშევარი საათებისა და/ან განვლილი მანძილის აღრიცხვა.
- ✓ საწვავის ძირითად საშუალებაზე გაცემის დამატასტურებული დოკუმენტაცია შედგენილი არ არის შემდეგ ძირითად საშუალებებზე: GRADER GR1803 სახ. ნომრით AA652D; HANWO თვლიანი ტრაქტორი სახ.BBN734Q; KOMATSU WB 93S-5 ექსკავატორი სახ.NBB755Q; ZHONGYUAN თვლიანი ტრაქტორი სახ.N BB287Q; OAO კამიშების საჭრელი ნავი, ბალანის საჭრელებსა და სათიბელებზე გაცემულ საწვავზე.

გამოვლენილი ზარვეზების (მიგნებების) აღმოსაფხვრელად გაცემული  
რეკომენდაციები:

1. „გაერთიანება“-მ განსაზღვროს შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და კონტროლის მექანიზმების გაძლიერების საშუალებით, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
2. საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯების მიზნით შესყიდვები განხორციელდეს ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად. კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და უფლებური ფუნქციონირებისათვის მოხდეს ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირება და მისი სისტემატიზებული არქივაცია.
3. სატენდერო კომისიამ სხდომის ოქმებში დეტალურად აღწეროს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მისი საფუძველი. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებისას დეტალურად იმსჯელოს. შეიცავს თუ არა აღნიშნული დოკუმენტაცია ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს, მიმართოს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით. სატენდერო კომისიამ არ დაუშვას კანონმდებლობის შეუსაბამოდ, არასწორი მიზეზით გამოწვეული დისკვალიფიკაცია. აგრეთვე განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას ტენციერები მონაწილე ყველა პრეტენდენტის მიმართ და ხელს შეუწყობენ შესყიდვების პროცესში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას. კომისიამ არ დაუშვას კანონმდებლობის შეუსაბამოდ, არასწორი მიზეზით გამოწვეული დისკვალიფიკაცია. აგრეთვე განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას ტენციერები მონაწილე ყველა პრეტენდენტის მიმართ და ხელს შეუწყობენ შესყიდვების პროცესში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.
4. სატენდერო კომისიამ დეტალურად იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო პირობებს. თუ პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით ექვემდებარება დაზუსტებას, მიმართოს პრეტენდენტს მისი დაზუსტების მოთხოვნით. გამარჯვებულად არ გამოავლინოს პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია, არ შეესაბამება სატენდერო პირობებს. სახელმწიფო შესყიდვების მართვის პროცესში დაინერგოს კონტროლის უფლებული მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფენ შესყიდვის პროცედურების სწორად წარმართვას და კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების პრევენციას.
5. სატენდერო კომისიამ ელექტრონული ტენციერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით და სათანადო დაასაბუთოს. არ მოახდინოს ელექტრონული ტენციერის დაუსაბუთებელი შეწყვეტა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების უგულვებელყოფა.

6. „გაერთიანებაში“ჩამოაყალიბოს კონტროლოს ეფექტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებას სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტისა და სატენდერო პირობების შესაბამისად.
7. სატენდერო დოკუმენტაციის ველებსა და ატვირთულ დოკუმენტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებისას უპირატესობა მიენიჭოს სატენდერო დოკუმენტაციის ველებს.
8. კანონმდებლობის მიხედვით, ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველ კონკრეტულ ელექტრონულ ტენდერში, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ დადებული ხელშეკრულებით, ანგარიშ-ფაქტურით, ინვოისით, ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ, დაფიქსირებულ ფასად დასადები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. სატენდერო კომისიამ წინასწარ, მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სატენდერო დოკუმენტაციაში, თუ რა სახის დოკუმენტაციით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.
9. თუ ელექტრონულ ტენდერში კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდერო კომისია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულებას არ ითვალისწინებს, შესაბამისი გადაწყვეტილება სათანადოდ დაასაბუთოს სატენდერო დოკუმენტაციაში.
10. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვის მოსამსადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვას და ხელშეკრულებების ტექნიკური, რაოდენობრივი და ფინანსური პარამეტრების სრულყოფილად განსაზღვრას.
11. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში სასურველია აუდიტის ობიექტის გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციასა და დანაკარგების კომპენსირებას. საჯარიმო სანქციის დაწესება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის დაცვით, იყი უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.
12. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადები განსაზღვროს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სულ მცირე, 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდებისთვის, მომსახურების გაწვევისთვის ან სამშენებლო სამუშაოს შესრულებისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.
13. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების /შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აისახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიენიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).

14. მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ების, ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)-ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელ ფიზიკურ პირს არ ევალება ინტერესთა კონფლიქტის არაარსებობის დადასტურება, თუ აღნიშნული მას, როგორც სატენდერო კომისიის ან სატენდერო კომისიის აპარატის წევრს, იმავე მიმწოდებლის (პრეტენდენტის) მიმართ უკვე დადასტურებული აქვს ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას.
16. სატენდერო კომისიის აპარატის წევრებმა სრულყოფილად შეასრულონ მათთვის დაკისრებული ფუნქციები, რომელიც დაკავშირებულია სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან, მათ შორის, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების სისტემაში განთავსებასთან.
17. მიზანშეწონილია, „სახელმწიფო სახსრების ხარჯვა განხორციელდეს რაციონალურად და ეკონომიკურად, არ განხორციელდეს ისეთი მომსახურების შესყიდვა, რომლის შესრულებაც „გაერთიანებას“ შეუძლია საკუთარი პერსონალით.
18. ა) „გაერთიანება“-მ უნდა დაადგინოს თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ან/და ერთი მუშა-საათის განმავლობაში სპეც-ტექნიკა და ავტომანქანები შემდეგი სახელმწიფო ნომრებით: GML-180; RJR-414; NN249KK; NN289KK; NN219KK; AA652D; AA890QA; BB734Q; MJ549JM; DQ498QD; ZZ941BB; BB287Q; BB755Q; BB734Q; სპეციალიზებული სათიბი ნავი OAO; გალაბის საჭრელები და სათიბელები გაცემულ საწვავზე. ბ) პრაქტიკაში უნდა დაინერგოს საწვავის ხარჯის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და სპეც-ტექნიკის მიერ განვლილი მანძილის ან/და ნამუშევარი საათების ზუსტ აღრიცხვას. გ) გასარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მიეთიოს თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი. დ) „გაერთიანება“-მ გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს საწვავის ხარჯვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში ღიღმეტრის მაჩვენებლები, ჩასხმული საწვავის რაოდენობებისა და საწვავის ნამთების ზუსტი ასახვა. ე) საწვავის ძირითად საშუალებაზე გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შედგენილ იქნეს შემდეგ ძირითად საშუალებებისთვის: GRADER GR1803 სახ. ნომრით AA652D; HANWO თველიანი ტრაქტორი სახ.BBN734Q; KOMATSU WB 93S-5 ექსკავატორი სახ.NBB755Q; ZHONGYUAN თველიანი ტრაქტორი სახ.N BB287Q; OAO კამიშების საჭრელი ნავი, გალაბის საჭრელებსა და სათიბელებზე გაცემულ საწვავზე.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობას იღებენ ჰარმონიზაციის ცენტრის, სსიპ საჯარო აუდიტის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

ონლაინ პროგრამა Zoom - ის საშუალებით სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგ კურსი - „შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისათვის“, სადაც მონაწილეობა მიიღო ერთმა თანამშრომელმა, აღნიშნული ტრენინგ კურსი დაფუძნებული იყო სახელმწიფო აუდიტის მირითად მიგნებებზე მუნიციპალიტეტებში, რაც მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის სფეროში საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის; სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის და GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი“ სადაც მონაწილეობა მიიღო ორმა თანამშრომელმა; საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების სერთიფიცირების კურსი გაიარა ორმა თანამშრომელმა.

ჰარმონიზაციის ცენტრთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში სამსახური დეტალურ ინფორმაციას იღებს საქართველოში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებისა და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების თაობაზე.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის

სამსახურის უფროსი:

/მ. თედორაძე/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2020

წელსა და

2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).



წერილის ნომერი: 49-49212531  
თარიღი: 10/09/2021

ადრესატი:

თამარი მამარდაშვილი  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის  
თავმჯდომარეს

ქალბატონ თამარ მამარდაშვილს

ქალბატონ თამარ,,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს- „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2020 წელსა და  
2021 წლის I- II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“' კომისიის სხდომაზე  
განსაზილველად.

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის  
უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის  
შემსრულებელი)

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2021 წლის 24 სექტემბერს განიხილა განკარგულების პროექტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2020 წლისა და 2021 წლის პირველ-მეორე კვარტალში გაწეული სამუშაოს შესახებ. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, სადაც დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით შეფასებულ იქნა დადებითად და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე:

თამარ მამარდაშვილი